N486 2015 წლის 2 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე

1. „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების დამტ-კიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 ნოემბრის №626 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტის თანდართული დებულება.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2015 წლის 11 თებერვლის №41 ბრძანება.

ირაკლი ღარიბაშვილი

დამტკიცებულია
საქართველოს პრემიერ-მინისტრის
2015 წლის 2 დეკემბრის
№ 486 ბრძანებით

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტი (შემდგომში – დეპარტამენტი) არის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეული, რომელიც თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა კანონებით, საქართველოს მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, საქართველოს სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტებით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულებითა და ამ დებულებით.

2. დეპარტამენტის ფუნქციები, სტრუქტურა და უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულებითა და ამ დებულებით, რომელსაც დადგენილი წესით ამტკიცებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

3. დაკისრებულ ფუნქციათა განსახორციელებლად დეპარტამენტი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, თანამშრომლობს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და სახელმწიფო რწმუნებულებთან-გუბერნატორებთან და მათ ადმინისტრაციასთან, სხვა უწყებებსა და ორგანიზაციებთან.

მუხლი 2. დეპარტამენტის ფუნქციები და ამოცანები

დეპარტამენტის ფუნქციები და ამოცანებია:

ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებზე სამართლებრივი ზედამხედველობის განხორციელებაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელშეწყობა;

ბ) ხელისუფლების ადგილობრივ დონეზე ეფექტური მართვის უზრუნველყოფის მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის სფეროში საქართველოს მთავრობისათვის, კომპეტენციის ფარგლებში, წინა-დადებების/სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და წარდგენა;

გ) სახელმწიფო პოლიტიკის რეგიონულ დონეზე დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობისთვის, კომპეტენციის ფარგლებში, წინადადებების/სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და წარდგენა;

დ) რეგიონული მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების სფეროში არსებული გამოცდილების შესწავლა და მისი დანერგვის თაობაზე წინადადებების შემუშავება;

ე) კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობიდან გამომდინარე, მათ მიერ შესასრულებლად გამოცემული საქართველოს კანონებისა და ნორმატიული აქტების აღსრულების კოორდინაცია და კონტროლის ხელშეწყობა;

ვ) ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის კომისიაზე წინადადებების/რეკომენდაციების წარდგენა;

ზ) სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის დაფინანსებით რეგიონებში მიმდინარე/განსახორციელებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული (ინფრასტრუქტურული) პროექტების განხორციელების ხელშეწყობა;

თ) კომპეტენციის ფარგლებში, რეგიონებში მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის, საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების ღონისძიებისათვის ხელშეწყობა;

ი) კომპეტენციის ფარგლებში, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში ინფრასტრუქტურული პრიორიტეტების განსაზღვრასა და პროექტების დაგეგმვა-შემუშავება-განხორციელებაში მონაწილეობა, რეგიონებისათვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელების მიზნით სახელმწიფო, საერთაშორისო, რეგიონალურ და ადგილობრივ სტრუქ-ტურებთან/ორგანოებთან თანამშრომლობა, პროექტების განხორციელების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა;

კ) რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში არსებულ პრობლემულ საკითხებზე დეპარტამენტში შემოსული ინფორმაციის დამუშავება-ანალიზი;

ლ) დაკისრებულ ფუნქციათა განსახორციელებლად, ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან, საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაციის გამოთხოვა-ანალიზი და წინადადებების მომზადება;

მ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის კომისიაზე წარდგენის მიზნით ადგილობ-რივ თვითმმართველობასა და რეგიონული განვითარების პრობლე-მატიკასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის გამოთხოვა-დამუშავება;

ნ) კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობისა და ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

ო) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან კოორდინაციის უზრუნველყოფა;

პ) რეგიონებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, კომპეტენციის ფარგლებში, საჯარო და კერძო სექტორის მიერ მოწოდებული ინიციატივების შესწავლა და კოორდინაციის უზრუნველყოფა;

ჟ) დეპარტამენტში შემოსული რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების შესწავლა და მათი გადაჭრის მიზნით კოორდინაციის უზრუნველყოფა;

რ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორისა და მისი ადმინისტრაციის საქმიანობის ეფექტურად განხორციელების მიზნით საქართველოს პრემიერ–მინისტრისათვის წინადადებების წარდგენა;

ს) სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის კანდიდატურების შერ-ჩევისა და წარდგენის პროცედურის კოორდინაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ტ) სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის კანდიდატურასთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ–მინისტრის კონსულტაციის უზრუნველყოფა;

უ) რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა და მათ განსახორციელებლად სტრატეგიული გეგმების შემუშავებაში მონაწილეობა;

ფ) რეგიონების განვითარების კუთხით საზღვარგარეთის ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ–მინისტრის თანამშრომლობის ხელშეწყობა;

ქ) თვითმმართველობის განხორციელებასთან მიმართებაში საქართველოს მოქალაქეთა კანონმდებლობით დადგენილი უფლებების დაცვის ხელშეწყობა;

ღ) დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ხელშეწყობა;

ყ) დეპარტამენტში შემოსული კორესპონდენციის განხილვა;

შ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებანი.

მუხლი 3. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი, რომელ-საც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქარ-თველოს პრემიერ-მინისტრი.

2. დეპარტამენტის უფროსი:

ა) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, ამ დებულებისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის დავალებების შესაბამისად უზრუნველ-ყოფს დეპარტამენტის საქმიანობას, პასუხისმგებელია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვანი შეს-რულებისათვის;

ბ) ანაწილებს სამსახურებრივ დოკუმენტაციას დეპარტამენტის შესა-ბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის და უზრუნველყოფს მათი საქმიანობის კოორდინაციას;

გ) დადგენილი წესით განსაზღვრავს დეპარტამენტის თანამშრომელთა ფუნქციურ მოვალეობებსა და უფლებამოსილებებს;

დ) ხელმძღვანელობს დეპარტამენტის მიმდინარე საქმიანობას;

ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს დეპარტამენტის თანამშრომელთა საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას;

ვ) საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასანიშნად წარუდგენს დეპარტამენტის თანამშრომელთა კანდიდატურებს;

ზ) ამზადებს წინადადებებს დეპარტამენტის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

თ) ხელმოწერით ადასტურებს დეპარტამენტიდან გასულ დოკუმენტებსა და სხვა მასალებს;

ი) წარმოადგენს დეპარტამენტს სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობისას;

კ) შეიმუშავებს დეპარტამენტის დებულებისა და საშტატო ნუსხის პროექტს საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის წარსადგენად;

ლ) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. დეპარტამენტის უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

4. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:

ა) ხელს უწყობს სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის დაფინანსებით რეგიონებში მიმდინარე/განსახორციელებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული (ინფრასტრუქტურული) პროექტების განხორციელებას;

ბ) მონაწილეობს ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში ინფრასტრუქტურული პრიორიტეტების განსაზღვრასა და ასევე, პროექტების დაგეგმვა-შემუშავება-განხორციელებაში;

გ) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს;

დ) დეპარტამენტის უფროსის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას.

მუხლი 4. დეპარტამენტის სტრუქტურა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელობა

1. დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) სამართლებრივი ზედამხედველობის სამსახური;

ბ) რეგიონული და მუნიციპალური პროექტების სამსახური;

გ) საინფორმაციო–ანალიტიკური სამსახური;

დ) კოორდინაციის სამსახური.

2. სტრუქტურულ ქვედანაყოფს ხელმძღვანელობს სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი, რომელსაც დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

3. სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი:

ა) ორგანიზებას უწევს სტრუქტურულ ქვედანაყოფში შემავალი საჯარო მოსამსახურეების საქმიანობას;

ბ) ანაწილებს სამსახურებრივ დოკუმენტაციას საჯარო მოსამსახურეთა შორის;

გ) უშუალოდ ამზადებს განსაკუთრებული სირთულის მქონე ცალ-კეულ დავალებას;

დ) წარუდგენს დეპარტამენტის უფროსს ინფორმაციას სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომლების მიერ მიმდინარე და გაწეული საქმიანობის შესახებ;

ე) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილ-ებებს.

4. ამ დებულების მე-2 მუხლის „ა-ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ფუნქციებსა და ამოცანებს დეპარტამენტი ასრულებს სამართლებრივი ზედამხედველობის სამსახურის მეშვეობით, ,,ზ-ი“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ფუნქციებსა და ამოცანებს რეგიონული და მუნიციპალური პროექტების სამსახურის, ,,კ-მ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ფუნქციებსა და ამოცანებს საინფორმაციო–ანალიტიკური სამსახურის მეშვეობით, ,,ნ-ჟ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ფუნქციებსა და ამოცანებს კი კოორდინაციის სამსახურის მეშვეობით, ხოლო, ,,რ-შ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ფუნქციები და ამოცანები შესაძლებელია შესრულდეს ნებისმიერი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ დეპარტამენტის უფროსის გადაწყვეტილებით.

მუხლი 5. დეპარტამენტის თანამშრომლები

დეპარტამენტის თანამშრომლები არიან საჯარო მოსამსახურეები, რომლებსაც, კანონმდებლობით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.